ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6450548

ნომერი: AR1960580

თარიღი : 13.04.2023

გაცემის თარიღი : 08.05.2023

გაცნობის თარიღი : 28.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მჭედლიშვილი პ/ნ 01011013073
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 44ა კორ. 4 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 აპრილის №AR1960580 განაცხადებით მომართა დავით მჭედლიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023

წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებით ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №46-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.001.205) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 10 იანვრიდან 2025 წლის 10 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ნიუ სითი (ს/ნ: 404516582).
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს "ნიუ სითის" (ს/ნ: 404516582) ნაცვლად შპს „დიღომი 2021"-ის (ს/ნ: 405463724) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022882566, მომზადების თარიღი: 22/11/2022 წ.) თანახმად №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ თანამესაკუთრეს შპს „ნიუ სითისთან" (ს/ნ: 404516582) ერთად, წარმოადგენს შპს „დიღომი 2021" (ს/ნ: 405463724).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22056211; მომზადების თარიღი: 10/05/2022 წ.), შპს „დიღომი 2021"-ის (ს/ნ: 405463724) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლაშა გოგოლაძე (პ/ნ: 11001017478). სამსახურში წარმოდგენილია, ლაშა გოგოლაძის (პ/ნ: 11001017478) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 220189748, რეგისტრაციის თარიღი: 24.02.2022 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა 2022 წლის 22 მარტის ხელშეკრულება (არქიტექტურული პროექტის, მშენებარე ფართების, შესაბამისი წილი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა არქიტექტურული პროექტი (მათ შორის კორექტირებული) და სამშენებლო ნებართვა, რაც გაცემული იყო შპს „ნიუ სითიზე".
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.10.06.001.205 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დიღომი 2021" (ს/ნ: 405463724) რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „დიღომი 2021"-ის (ს/ნ: 405463724) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „ნიუ სითის" (ს/ნ: 404516582) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „დიღომი 2021" (ს/ნ: 405463724).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 იანვრის №6276612 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.